ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 31

ქ. წალენჯიხა 24 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გიორგი მეგონიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის თემის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ეკატერინე ლუკავას სახით და მეორეს მხრივ ინდ/მეწარმე „იურა კვარაცხელია", (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის იურა კვარაცხელიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან შენობის მოწყობის სამუშაოები (CPV – 45400000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულების საგნის აღწერა მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 4994.70 (ოთხიათას ცხრაასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და აწგარიშსწორება

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და აწგარიშფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და აწგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტში მითითებული პირი.

4.2. შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარება გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ფორმა №2 წარმოდგენის შემდეგ.

4.3 . საექსპერტო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მოითხოვს საექსპერტო მომსახურების ჩატარებას კანონმდებლობით დადგენილი დაჩქარებული წესით, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა დაჩქარებული და ჩვეულებრივი მომსახურებების საფასურებს შორის.

4.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფორმა N2 და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

4.6. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % ოდენობით.

4.8. შესრულებული სამუშაების საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება - ჩაბარების აქტის , ფორმა N2 ,ანგარიშფაქტურისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი.ობუჯის თემი. N1 საჯარო სკოლა).

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

6.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შედეგად დარჩენილი დაზიანებული ადგილები დაამუშაოს შესაბამისად და მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში (ამოლესვა, შეღებვა);

გ) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნაგვისაგან და ნარჩენი მასალებისაგან, პერიოდების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ დღეს;

დ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ გიორგი მებონიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის თემის N1 საჯარო სკოლის

დირექტორი ეკატერინე ლუკავა.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება

პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 9. გარანტია

9.1. საგარანტიო ვადის განმავლობაში,რომელიც განისაზღვრება1 /ერთი / წლით მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ისეთი ხარვეზების აღმოფხვრა, რაც დაკავშირებული იქნება ხელშეკრულების საგნის ხარისხთან.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის შეკეთება შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადაში, ხოლო თუ შესყიდვის ობიექტი შეკეთებას არ ექვემდებარება, მიმწოდებელმა უნდა შეცვალოს ის არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

9.3. მიმწოდებლის მიერ 9.2. პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

15.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 17. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

19.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დაწართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ გიორგი მებონიას სახელობის წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის ობუჯის თემის N1 საჯარო

სკოლა

მის: ქ. წალენჯიხა.ობუჯის თემი
საბანკო რეკვიზიტები:

სს ლიბერთი ბანკი
წალენჯიხის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22

საიდ. კოდი 242735929

დირექტორი: ეკატერინე ლუკავა

„მიმწოდებელი“

ინდ.მეწარმე „იურა კვარაცხელია“

წალენჯიხა.ნაკიფუ

სს ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ს/კ: 51001021538

ა/ნ: GE96LBRT0242370963420000

51001021538

დირექტორი: იურა კვარაცხელია